ქ. ცაგერი, რუსთაველის ქ. №65, ტელ.: +995 599 96 12 31,
ელ. ფოსტა: tsagerisakrebulo@gmail.com

ცაგერის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
განკარგულება

N 50
03/07/2019

50-06-4-201907031623

ა(ა)იპ - ,,ცაგერის ისტორიული მუზეუმი"-ს რეორგანიზაციისა და ა(ა)იპ - ,,დეხვირის არქეოლოგიურ-ეთნოგრაფიული ,,მუზეუმი ღია ცის ქვეშ" დაფუძნების თაობაზე ცაგერის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ

უკანასკნელი რამდენიმე წლის განმავლობაში ქვეყნის მაშტაბით განსაკუთრებული ყურადღება მიექცა ცაგერის მუნიციპალიტეტის სოფელ დეხვირში არსებულ არქეოლოგიურ-ეთნოგრაფიულ ,,მუზეუმს ღია ცის ქვეშ", რომელიც მოიცავს მეტად დიდ სამეცნიერო ღირებულების მასალებს. ეჭვგარეშეა, რომ დეხვირის ციხეს დიდი სტრატეგიული მნიშვნელობა ენიჭებოდა. იგი აკონტროლებდა კოლხეთის უძველესი ქალაქ ფაზისიდან ლეჩხუმზე გამავალ სატრანზიტო საერთაშორისო ,,თაკვერის" გზას, რომელიც გადადიოდა ჩრდილო კავკასიაში. აქ ჩატარებული არქეოლოგიური გათხრების შედეგად დეხვირის ციხის მიმდებარე ტერიტორიაზე, სადაც ლეჩხუმის არქეოლოგიაში პირველად დასტურდება შუა საუკუნეების კერამიკის უხვი მასალა, აგრეთვე გაირკვა, რომ დეხვირის ციხის ქვედა ფენებიც ახლომდებარე ცხეთა დეხვირის თანადროულია. (ძვ.წ.VIII-VII სს). დღეის მდგომარეობით მიმდინარეობს მუზეუმის ტერიტორიის არქეოლოგიური კვლევა, ამასთანავე უნდა მოეწყოს მუზეუმის ინფრასტრუქტურა, სამომავლოდ მუზეუმი მრავალრიცხოვანი ტურისტებისა და ვიზიტორებისათვის სერიოზული ინტერესის სფერო ხდება. აღნიშნული გარემოებებიდან გამომდინარე პრიორიტეტული ხდება მისი ცალკე კერძო სამართლის იურიდიულ პირად ჩამოყალიბება.

,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" საქართველოს ორგანული კანონის 54-ე მუხლის პირველი ნაწილის ,,დ" ქვეპუნქტის ,,დ.ბ" ქვეპუნქტის და 106[1] მუხლის მე-4 ნაწილის საფუძველზე

ცაგერის მუნიციპალიტეტის საკრებულომ გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა :

1. მიეცეს ცაგერის მუნიციპალიტეტის მერს თანხმობა:

ა) არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის - ,,ცაგერის ისტორიული მუზეუმი“-ს რეორგანიზაციის თაობაზე;

ბ) არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის - ,,ცაგერის ისტორიული მუზეუმი“-ს სტრუქტურიდან დეხვირის არქეოლოგიურ-ეთნოგრაფიული ,,მუზეუმი ღია ცის ქვეშ“ გამოყოფის შედეგად არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის - ,,დეხვირის არქეოლოგიურ-ეთნოგრაფიული ,,მუზეუმი ღია ცის ქვეშ“ დაფუძნების თაობაზე.

2. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ცაგერის რაიონულ სასამართლოში (მისამართი რუსთაველის №69) კანონმდებლობით დადგენილი წესით.
3. განკარგულება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.

გიორგი გუგავა

საკრებულოს თავმჯდომარე
ცაგერის მუნიციპალიტეტის საკრებულო